ერასმუს მუნდუსის პროექტ ALRAKIS II-ს სამაგისტრო და პოსტ-სადოქტორო სტიპენდიები

ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტი ALRAKIS II აცხადებს კონკურსს მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და მკვლევრებისთვის (Postdocs) ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობის განხორციელების მიზნითს ტიპენდიის მოსაპოვებლად.

<u>მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ უნივერსიტეტებში:</u>

1. გიოტინგენის გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტი, გერმანია - კოორდინატორი
2. ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი
3. ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი
4. სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი
5. პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
6. ტუშას უნივერსიტეტი, იტალია
7. გრონინგენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
8. მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

პროექტი სრულად ფარავს სწავლის, მგზავრობის, დაზღვევის ხარჯებს და უზრუნველყოფს კონკურსში გამარჯვებულს ყოველთვიური სტიპენდიით:
მაგისტრანტი - 1000 ევრო
პოსტ-დოქტორანტი - 1800 ევრო

<u>კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:</u>

- მათ, ვისაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე 12 თვეზე მეტი დრო აქვთ გატარებული ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში;
- სტუდენტებს, რომლებსაც კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში შეჩერებული აქვთ აკადემიური სტატუსი;
- ვისაც უკვე მიღებული აქვს ერასმუს მუნდუსის გრანტი ანალოგიურ საფეხურზე.

განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა **2015 წლის 30 იანვარი.**

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ პროექტის ვებ-გვერდი:
http://www.alrakis2.eu/index.asp?p=1733&a=1733

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების სამსახურს:

მისამართი: ქ.ჩოლოყაშვილის 3/5, ოთახი E105
ტელეფონი: 995 322 14 13 88
ელ-ფოსტა: **alrakis@iliauni.edu.ge**